



თვითმმართველი თემი
თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 4

2015 წლის 30 იანვარი

ევროკავშირის ინიციატივით დაწყებული მერების შეთანხმებაში თვითმმართველი
თემი თელავის მუნიციპალიტეტის მონაწილეობის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის
კოდექსის“ 16-ე მუხლის მე-3 ნაწილის და ამავე კოდექსის 24-ე მუხლის მე-2 ნაწილის
შესაბამისად,

1. თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტი (შემდგომ ტექსტში -
თელავის მუნიციპალიტეტი) ჩაერთოს ევროკავშირის ინიციატივით დაწყებულ მერების
შეთანხმებაში და განახორციელოს დანართში მითითებული ყველა ღონისძიება.
2. განკარგულების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს თელავის
მუნიციპალიტეტის გამგებელს.
3. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე;
4. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია თელავის რაიონულ
სასამართლოში, მისი ძალაში შესვლიდან 1 თვის ვადაში (ქ. თელავი, დ. აღმაშენებლის
გამზირი №41).

საკრებულოს თავმჯდომარე



ჰაატა გიორგობიანი

ჰაატა გიორგობიანი

მერების შეთანხმებასთან დაკავშირებული თელავის მუნიციპალიტეტში
განსახორციელებელი პროექტები

1. მოხდეს ევროკავშირის მიერ დადგენილი 2020 წლის სტრატეგიის შესაბამისი მიზნების შესრულება, რომელიც მოიცავს CO2 - ის შემცირებას ჩვენს დაქვემდებარებაში არსებულ ტერიტორიებზე სულ მცირე 20% ით;

2. მოხდეს მდგრადი ენერჯის სამოქმედო გეგმის წარმოდგენა, რომელიც მოიცავს მიზნებისა და ამოცანების მიღწევის გზების ჩამოყალიბებას და გეგმის განხორციელებას შეთანხმების თარიღიდან ერთი წლის ვადაში;

3. მოხდეს განხორციელებული ქმედებების ანგარიშის წარმოდგენა სულ მცირე ყოველ მეორე წელს, რომელიც იქნება სამოქმედო გეგმის თანდართული დოკუმენტი, რომელიც მოახდენს ამ გეგმის შეფასებას, მონიტორინგს და გამოავლენს ახალ მიზნებს;

4. უზრუნველყოფილ იქნეს „ენერჯის დღეების“ მოწყობა ევროკომისიასთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობის ფარგლებში, რაც საშუალებას მისცემს მოქალაქეებს მიიღონ ინფორმაცია ენერჯის ეფექტურად გამოყენებისათვის. ასევე მოხდეს ადგილობრივი მედია საშუალებებით სამოქმედო გეგმის განხორციელების გაშუქება.

5. ყოველწლიურ მერების კონფერენციაზე „მდგრადი ევროპის ენერჯია“ დასწრება და მონაწილეობა.

საკრებულოს თავმჯდომარე



Handwritten signature in blue ink.

პაატა გიორგობიანი